

ოქმი #3
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს მორიგი სხდომის

2020 წელი, 29 იანვარი
 ქ. ოზურგეთი
 12.00 – 13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დ.დარჩია, საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები:
 გ.ღურჯუმელიძე, ლ.ბიგვავა, გ.ჩაგანავა, გ.კილაძე,
 ბ.დოლიძე, დ.ჭაკნელიძე, ტ.აროშიძე, გ.თოიძე,
 შ.გოგიბერიძე, ე.გორდელაძე.
 მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის
 პასუხისმგებელი მუშაკები. მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე დ.დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრეთ, მიაწოდა ქვორუმზე ინფორმაცია, 15 წევრიდან სხდომას ესწრება 11, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. სხდომის დღის წესრიგის დამტკიცებამდე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გ.ღურჯუმელიძის წინადადებით დღის წესრიგს დაემატა 6-საკითხი: “სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2020 წლის სამუშაო გეგმის შესახებ”; „აგრარულ საკითხთა, ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის 2020 წლის სამუშაო გეგმის შესახებ“; „სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის 2020 წლის სამუშაო გეგმის შესახებ“; „განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2020 წლის სამუშაო გეგმის შესახებ“; „საფინანსო-საბიუჯეტი კომისიის 2020 წლის სამუშაო გეგმის შესახებ“; „საკრებულოსთან არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოს 2020 წლის სამუშაო გეგმის შესახებ“ ამ ცვლილებებით, ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

მომხს: დ.დარჩია

თანამომხს: გ.კილაძე

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ოზურგეთში გურიის ქუჩაზე (აგრარული ბაზრის ტერიტორია) მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 23კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზედ მიმაგრებული შენობის (ს/კ 26.26.48.038) სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხს:დ.დარჩია

თანამომხს:გ.კილაძე

ამ საკითხზე თანამომხსენებელმა გ.კილაძემ განაცხადა, რომ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დროს საკრებულოსა და მერიაში განცხადებებით ფართის არა პირდაპირი, არამედ აუქციონის წესით განკარგვის მოთხოვნით შემოვიდნენ ამჟამად ამ ფართით მოსარგებლე ადამიანები, რომლებიც ესწრებოდნენ კომისიის სხდომას და ესწრებიან ბიუროს სხდომასაც, კომისიამ იმსჯელა და მიიღო გადაწყვეტილება მიემართა პროექტის ინიციატორისათვის-მერისათვის საკრებულოს სხდომაზე წარმოდგინა დამატებითი დასაბუთება პირდაპირი ან საჯარო აუქციონის წესით განკარგვის უპირატესობაზე.საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ.ღურჯუმელიძემ განაცხადა, რომ მერიას თავის დროზე ჯეროვნად არ ჰქონდა საკითხი შესწავლილი, არსებული კანონმდებლობით საკითხი უნდა განიხილოს საკრებულოს სხდომამ, იმსჯელოს და მიიღოს გადაწყვეტილება, თუ კი საკრებულოს წევრები მხარს არ დაუჭერენ წარმოდგენილ პროექტს არ მოხდება ფართის პირდაპირი წესით განკარგვა, მერიის პოზიციის შეცვლის შემთხვევაში, თუ გაითვალისწინებს აგრარული ბაზრის ტერიტორიაზე მომუშავე ადამიანების განცხადებას, ფართი გაიცემა მერიის მიერ საჯარო აუქციონის წესით. მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა ლ.თავაძემ აუქციონის წესით განკარგვის განცხადების ავტორ მოქალაქეებს განუმარტა, რომ საჯარო აუქციონისას ვერავინ მისცემს მათ გარანტიას, რომ ფართს არ შეიძენს სხვა დაინტერესებული პირი, ხოლო მერიის მიერ წარმოდგენილ პროექტზე იმიტომაც უნდა იმსჯელოს საკრებულომ, რომ არ დაირღვეს პირდაპირი განკარგვის წესით ფართის შეძენის მსურველი, განცხადებით შემოსული პიროვნების უფლებები. სხდომის თავმჯდომარემ დ.დარჩიამ აუქციონის წესით ფართის განკარგვის მსურველ მოქალაქეებს სთხოვა დაესწრონ მიმდინარე წლის 5 თებერვალს 11.00-საათზე ჩანიშნულ საკრებულოს სხდომას, ხოლო მერიის წარმომადგენელს, იმსჯელონ დარგობრივი კომისიის მიერ გადაგზავნილ წერილზე და საკრებულოს სხდომაზე წარმოდგინონ დასაბუთებული ახსნა-განმარტება.

3.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხს:დ.დარჩია

თანამომხს:გ.კილაძე

ამ საკითხის განხილვისას ბიუროს წევრმა ლ.ბიგვაძემ გამოთქვა აზრი, რომ საიჯარო ხელშეკრულების ვადა შემცირებულიყო 3-წლამდე.

4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო

და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღებისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხს:დ.დარჩია

თანამომხს:ლ.თავაძე

ამ საკითხზე გადაწყდა, რომ პროექტი განსახილველად დაეწეროთ შესაბამის დარგობრივ კომისიებს (გ.ჩაგანავა, გ.კილაძე) და შეტანილ იქნას დღის წესრიგში საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების მიზნით.

5.არასამთავრობო ორგანიზაცია „მერსი-ქორფსი“-ს და ოზურგეთის მუნიციპალიტეტს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების შეთანხმების შესახებ“ -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღებისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხს:დ.დარჩია

თანამომხს:ლ.თავაძე

საკითხი განსახილველად დაეწერა დარგობრივ კომისიას (ლ.საჯაია) და შეტანილ იქნა დღის წესრიგში.

6.სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2020 წლის სამუშაო გეგმის შესახებ.

მომხს:დ.დარჩია

თანამომხს: ლ.ბიგვავა

7.საფინანსო-საბიუჯეტი კომისიის 2020 წლის სამუშაო გეგმის შესახებ.

მომხს:დ.დარჩია

თანამომხს:გ.ჩაგანავა

8.აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის 2020 წლის სამუშაო გეგმის შესახებ.

მომხს:დ.დარჩია

თანამომხს:გ.კილაძე

9.სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის 2020 წლის სამუშაო გეგმის შესახებ.

მომხს:დ.დარჩია

თანამომხს:ე.გორდელაძე

10.განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2020 წლის სამუშაო გეგმის შესახებ.

მომხს:დ.დარჩია

11.საკრებულოსთან არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოს 2020 წლის სამუშაო გეგმის შესახებ.

მომხს:დ.დარჩია

მუდმივმოქმედი კომისიების სამუშაო გეგმების განხილვა-დამტკიცების შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ დ.დარჩიამ განაცხადა, რომ მათ საფუძველზე შემუშავდება და საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დამტკიცდება თავად საკრებულოს 2020 წლის სამუშაო გეგმა. სამუშაოს ორგანიზება დაევალა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს გ.ღურჯუმელიძეს.

ბიუროს წევრმა ლ.ბიგვაჯამ განაცხადა, რომ მერიასთან სამუშაოების კოორდინირების მიზნით უპრიანია კომისიათა სამუშაო გეგმები გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას, განუმარტეს, რომ ელექტრონულად ეგზავნებათ.

საკითხების განხილვის დასრულების შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ.ღურჯუმელიძემ გააკეთა განცხადება ბავშვთა უფლებების კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი სამუშაოების გეგმის შემუშავების თაობაზე.

გადაწყვიტეს:

1.საკრებულოს ბიუროს დღის წესრიგში გათვალისწინებული N1, 2, 3, 4, 5, 11 საკითხები შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში, განხილვა-დამტკიცების მიზნით.

2. დამტკიცდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმომქმედი კომისიების 2020 წლის სამუშაო გეგმები.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

